



№ 31

„ 16 “ 11 2016 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 38-ე მუხლისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. სსიპ -“ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი“-დან, საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. სსიპ -“ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი“ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემს დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.
3. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცემა ის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა ერთი პირის მიერ არ აღემატება 5 ლარს.

საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 38-ე მუხლისა და  
„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს  
კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი

გიორგი თავაძე

ინსტიტუტის დირექტორი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

აკადემიკოსი, ტ.მ.დ., პროფესორი